

საგ/მათ. II, შთ. ნ.
II ნაწ.

თინა ბექაური
ავთანდილ საგინაშვილი

მათემატიკა

2

ნაწილი 2



სარჩევი

თავი 3 ნატურალური რიცხვების შეკრება 100-ის ფარგლებში (გაგრძელება)	5
თავი 4 ნატურალური რიცხვების გამოკლება 100-ის ფარგლებში .	27
თავი 5 ნატურალური რიცხვების შეკრება-გამოკლება	46
მთელი კურსის გასამეორებელი მასალა (დავალებები)	69

1 ეკამ, ნიკამ და თათიამ გამოთვალეს $(2+4)+1$ გამოსახულების მნიშვნელობა.

ეკა: ჯერ ფრხხილებში მოქცეული ჯამი გამოვთვალე, შემდეგ კი რიცხვს მივუმატე მიღებული ჯამი:

$$(2+4)+1=6+1=7.$$

ნიკა: ჯერ პირველ შესაკრებს მოვუმატე რიცხვი, შემდეგ მიღებულ ჯამს – მეორე შესაკრები:

$$(2+4)+1=(1+2)+4=3+4=7.$$

თათია: ჯერ რიცხვს მივუმატე მეორე შესაკრები, შემდეგ მიღებულ ჯამს – პირველი შესაკრები:

$$(2+4)+1=(1+4)+2=5+2=7.$$

რამდენი ხერხითაა შესაძლებელი $(2+4)+1$ ჯამის გამოთვლა?

2 გამოთვალე სამი ხერხით:

ა) $(4+40)+15$

ბ) $(10+63)+17$

გ) $59+21+10$

3 გამოთვალე იოლი ხერხით:

$(7+8)+3$

$(4+11)+6$

$(25+8)+5$

$(9+10)+30$

$(37+5)+3$

$(9+21)+18$

$(12+5)+35$

$(8+9)+20$

4 გამოთვალე იოლი გზით:

$32+(2+6)$

$2+(10+7)$

$7+(60+7)$

$36+(3+1)$

$6+(40+4)$

$36+(20+4)$

5 თათიას 6 წითელი და 8 ყვითელი ბუშტი აქვს. დასვი კითხვა და ამოხსენი ამოცანა.

6 სწორია თუ არა ტოლობა? ახსენი შენი პასუხი.

ა) $25+7=7+25?$

ბ) $25+7=27+5?$

გ) $75+2=25+7?$

7 რომელი ტოლობაა სწორი? რატომ?

ა) $48+7=(40+8)+7?$

ბ) $48+7=(4+8)+7?$

გ) $48+7=(4+80)+7?$

8 გადაიხაზე რვეულში ცხრილი და შეავსე რიცხვებით ისე, რომ თითოეულ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ სტრიქონში ჩაწერილი რიცხვების ჯამი ერთი და იმავე რიცხვის ტოლი იყოს:

7	8	3
		10
9		

1 ანდრომ, ეკამ და ნიკამ შეასრულეს გამოთვლები.



ანდრო $8+5=8+(2+3)=(8+2)+3=10+3=13$

ჯერ 8 შევავსე 10-მდე (მივუმატე 2), შემდეგ კი 10-ს მივუმატე დარჩენილი ერთეულები (3). მივიღე 13.



ეკა $18+5=18+(2+3)=(18+2)+3=20+3=23$

ჯერ 18 შევავსე 20-მდე (მივუმატე 2), შემდეგ კი 20-ს მივუმატე დარჩენილი ერთეულები (3). მივიღე 23.



ნიკა $28+5=28+(2+3)=(28+2)+3=30+3=33$

ჯერ 28 შევავსე 30-მდე (მივუმატე 2), შემდეგ კი 30-ს მივუმატე დარჩენილი ერთეულები (3). მივიღე 33.

დააკვირდი! სამივე გამოთვლისას ერთ-ერთი შესაკრები ბავშვებმა ათეულებამდე შეავსეს.

შეკრების განხილული სამივე მაგალითი აჩვენე ჩხირების გამოყენებით.

2 ხაზის ზემოთ დაწერილი გამოსახულების მნიშვნელობა ტოლი უნდა იყოს ხაზის ქვემოთ დაწერილი გამოსახულების მნიშვნელობის. რა რიცხვი უნდა ეწეროს ოთხკუთხედის ნაცვლად?

$$\frac{45+9}{45+5+\square} \quad \frac{39+7}{39+1+\square} \quad \frac{78+6}{78+2+\square} \quad \frac{67+6}{67+3+\square} \quad \frac{84+8}{84+6+\square} \quad \frac{26+9}{26+4+\square}$$

3 №1 სავარჯიშოში მოცემული ნიმუშების მიხედვით გამოთვალე:


$$\begin{array}{c} 9+4 \\ 19+4 \\ 29+4 \\ 39+4 \end{array}$$

$$\begin{array}{c} 7+7 \\ 17+7 \\ 27+7 \\ 37+7 \end{array}$$

$$\begin{array}{c} 9+6 \\ 18+6 \\ 25+6 \\ 67+6 \end{array}$$


$$\begin{array}{c} 5+8 \\ 25+8 \\ 55+8 \\ 85+8 \end{array}$$

1 ახსენი თითოეული ჩანაწერის შინაარსი ნახატის მიხედვით.



$$18 + 3 = 18 + (2 + 1) = (18 + 2) + 1 = 20 + 1 = 21$$

$$18 + 3 = (10 + 8) + 3 = 10 + (8 + 3) = 10 + 11 = 21$$



$$37 + 8 = (30 + 7) + 8 = 30 + (7 + 8) = 30 + 15 = 30 + (10 + 5) = 45$$

$$37 + 8 = 37 + (3 + 5) = (37 + 3) + 5 = 40 + 5 = 45$$

2 დათომ თაროდან 6 წიგნი აიღო. თაროზე კიდევ 38 წიგნი დარჩა. რამდენი წიგნი იყო თაროზე თვდაპირველად?

3 თინიკომ და დუტამ ნაძვის ხეზე 18 სათამაშო ჩამოკიდეს. ჩამოსაკიდი დარჩათ კიდევ 9 სათამაშო. რამდენი სათამაშო ჰქონდათ თინიკოს და დუტას სულ?

4 ერთ ყუთში 57 მანდარინია, მეორეში 9-ით მეტი. რამდენი მანდარინია მეორე ყუთში?

5 გამოთვალე:

55 + 7	74 + 8	79 + 6	47 + 6
9 + 52	6 + 75	7 + 36	8 + 19


6 რა ციფრები შეიძლება ჩავწეროთ *-ის ნაცვლად, ჩანაწერი რომ სწორი იყოს?

$3* < 31$	$87 = *7$	$82 > 8*$	$88 < *8$
$9* = 93$	$62 > 6*$	$98 < 9*$	$21 > 2*$

7 გამოთვალე:

$19 - 9 + 7$	$20 - 5 - 6$	$13 - 9 + 7$	$12 + 7 - 9$
$14 + 3 + 3$	$9 + 8 - 16$	$8 + 9 - 14$	$19 - 16 + 12$

8 უჯრიან რეგულში დახატე ასეთი მანქანა.



1 ერთ ყუთში 75 ნამცხვარია, მეორეში მასზე 10-ით მეტი. რამდენი ნამცხვარია მეორე ყუთში?

2 რამდენია წითელი ღილი? მწვანე? სულ?



3 ავტოსადგომზე 46 მანქანა იდგა. კიდევ შემოვიდა 8 მანქანა. რამდენი ავტომანქანაა ავტოსადგომზე?

4 დაწერე 76-ზე მეტი და 84-ზე ნაკლები ყველა რიცხვი.

5 რა წესითაა შესრულებული რიცხვების შეკრება? იმავე წესით აღადგინე გამოტოვებული რიცხვები.

$$9 + 1 + 7 = 10 + 7$$

$$7 + 3 + 2 = 10 + 2$$

$$9 + 1 + 6 = \square + \square$$

$$8 + 2 + 6 = 10 + 6$$

$$8 + 2 + 7 = \square + \square$$

$$6 + 4 + 5 = \square + \square$$

6 რომელია მეტი

$$90 + 7 \text{ თუ } 9 + 70?$$

$$34 \text{ თუ } 29?$$

$$50 + 6 \text{ თუ } 8 + 50?$$

$$56 + 5 \text{ თუ } 55 + 6?$$

$$75 + 9 \text{ თუ } 9 + 75?$$

$$90 + 6 \text{ თუ } 88 + 8?$$

$$70 + 14 \text{ თუ } 85 - 1?$$

$$90 + 8 \text{ თუ } 89 + 8?$$

7 თაროზე 15 ყუთი ვაფლი და 9 ყუთით მეტი ორცხობილაა. რამდენი ყუთი ორცხობილაა თაროზე?

8 სად უნდა ეწეროს ფრჩხილები?

$$7 + 3 + 9 = 10 + 9$$

$$8 + 2 + 3 = 10 + 3$$

$$4 + 1 + 9 = 4 + 10$$

$$18 + 2 + 4 = 20 + 4$$

$$20 + 6 + 4 = 20 + 10$$

$$40 + 8 + 3 = 40 + 11$$

წვეილებში სამუშაო

იცით თუ არა ერთნიშნა რიცხვების შეკრება? შეამოწმეთ ერთმანეთის ცოდნა.

6+5=11	6+6=12	7+6=13	7+7=14	8+7=15	8+8=16	9+8=17
7+4=11	7+5=12	8+5=13	8+6=14	9+6=15	9+7=16	
8+3=11	8+4=12	9+4=13	9+5=14			
9+2=11	9+3=12					

1 შეასრულე შეკრება ნიმუშის მიხედვით:

$$35 + 56 = (30 + 5) + (50 + 6) = (30 + 50) + (5 + 6) = 80 + 11 = 91$$

$47 + 14$

$15 + 17$


$46 + 25$

$28 + 13$

$39 + 12$

$23 + 29$

2 გაადიდე 28-ით რიცხვები:



3 გამოთვალე:

$15 + 37$

$18 + 52$

$36 + 53$

$63 + 34$

$45 + 53$

$72 + 19$

4 რა რიცხვს მივიღებთ 54-ის 17-ით გადიდების შედეგად?

5 ნატომ კალათიდან 7 ვაშლი ამოიღო. კალათაში კიდევ 25 ვაშლი დარჩა. რამდენი ვაშლი იყო კალათაში თავდაპირველად?

6 რა რიცხვი უნდა ეწეროს \square -ის ნაცვლად?

$\square - 21 = 26$

$\square - 18 = 49$

$\square - 72 = 14$

$\square - 66 = 31$

7 დაასრულე ამოცანის კითხვა და ამოხსენი ამოცანა: „მზიამ 12-ლარიანი წიგნი და 3 ლარიანი კალამი შეიძინა.

ა) რამდენი ლარით მეტი . . . ?

ბ) რამდენი ლარი . . . ? “

8 რომელი ჯამია მეტი? დაადგინე გამოთვლების გარეშე.

$45 + 18 + 9 + 4$

$46 + 18 + 8 + 5$

9 მოცემულთაგან შეარჩიე რიცხვთა წყვილები, რომელთა ჯამია 15.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14

რამდენი წყვილი შეარჩიე?

სცადე და შეადგინე ასეთივე ამოცანა 8-ზე და 11-ზე. დააკვირდი რა რიცხვიდან უნდა დაიწყო რიცხვების ჩამოთვლა და რა რიცხვით უნდა დაასრულო.

10 რა სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?

ა) ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში ერთეული მარჯვნიდან . . . წერია.

ბ) ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში ათეული მარცხნიდან . . . წერია.